

**საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის
სამსახურის**

რეკომენდაცია № 4

**სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველის ან/და დაზღვევის
შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის
პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ**

2021 წლის 01 აპრილი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 და მე-14 მუხლების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-800 მუხლის, ამავე კოდექსის 319-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 408-ე და 413-ე მუხლების, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი და მე-2 მუხლების, ამავე კანონის მე-10 მუხლის, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, 21-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №102 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, „ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 2 სექტემბრის რეკომენდაციისა და სადაზღვევო სფეროში მომხმარებელთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრასა და პრევენციასთან დაკავშირებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით, გასცემს რეკომენდაციას:

მუხლი 1. რეკომენდაციის მიზანი

წინამდებარე რეკომენდაციის მიზანია სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების პრევენცია, დისკრიმინაციული მოპყრობის ნიშნების

არსებობისას მისი აღმოფხვრის უზრუნველყოფა და ამ გზით ყველა მომხმარებლისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული თავისუფალი მიმოსვლის ძირითადი უფლების რეალიზების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. ეს რეკომენდაცია ვრცელდება საქართველოში სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მონაწილე ყველა მზღვეველზე, სადაზღვევო ბროკერსა და დაზღვევის აგენტზე.
2. რეკომენდაციაში დასახული მიზნის მისაღწევად, მზღვეველმა/დაზღვევის შუამავალმა საჭიროა განახორციელოს ამ რეკომენდაციის მე-3 მუხლში ჩამოთვლილი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფის მომხმარებლებისთვის სადაზღვევო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა და იმ ბარიერების თავიდან აცილება, რომლებიც სადაზღვევო პროდუქტის შეძენის მსურველთ უზღუდავენ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებით სარგებლობას და ხელს უშლის მათ სრულფასოვან ინტეგრაციას საერთაშორისო საზოგადოებაში.
3. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის ფასის განსაზღვრისა და სადაზღვევო რისკების შეფასებისთვის მომხმარებლის ასაკი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, მზღვეველის/დაზღვევის შუამავლის მიერ სადაზღვევო საქმიანობაში წინამდებარე რეკომენდაციის დანერგვით იქმნება, ერთი მხრივ, მომხმარებლების, ხოლო მეორე მხრივ, სადაზღვევო პროდუქტის მიმწოდებლების ინტერესების დაცვის საფუძვლები. კერძოდ, გაუმჯობესდება სადაზღვევო პრემიის ოდენობის დადგენასა და სადაზღვევო რისკების შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობისა და მზღვეველების მიმართ ნდობის ხარისხი, ამასთან, გაიზრდება სამოგზაურო დაზღვევის ხელმისაწვდომობა.

მუხლი 3. რეკომენდებული ღონისძიებები

1. სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველის/დაზღვევის შუამავლის მხრიდან მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის სადაზღვევო პროდუქტის მიმწოდებლების მიერ:
 - ა) ორგანიზაციის შიდა პოლიტიკის დოკუმენტებში დეტალურად იქნეს რეგლამენტირებული მომსახურების გაწევისას მომხმარებლის ასაკის ნიშნით დაწესებული მიდგომები;
 - ბ) არ დადგინდეს ასაკობრივი ზღვარი, როგორც მომსახურების გაწევაზე უარის თქმის ერთმნიშვნელოვანი და ცალსახა საფუძველი;

გ) განცხადებულ იქნეს, რომ მომხმარებლისთვის განსხვავებული ტარიფის დაწესება, განსხვავებული პირობების შეთავაზება ან მომსახურების მიწოდებაზე დაფუძნებულია სადაზღვევო რისკის ადეკვატური გაანგარიშების აღიარებულ პრინციპზე. კერძოდ, რისკის შეფასება განხორციელდეს მხოლოდ ზუსტი, ახალი და რელევანტური მონაცემების საფუძველზე, რომლის მეშვეობითაც დადასტურდება, რომ კონკრეტული ასაკი დაკავშირებულია მომეტებულ რისკთან;

დ) ასაკის ჭრილში რისკის შეფასებისას მხედველობაში იქნეს მიღებული, აგრეთვე, მომხმარებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინდივიდუალურ ინფორმაცია;

ე) უზრუნველყოფილ იქნეს ასაკის ნიშნით მომსახურების მიწოდებაზე უარის ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში დასაბუთება, მათ შორის წერილობითი ფორმით მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში;

ვ) ასაკის ნიშნით დაწესებული განსხვავებული ტარიფის ან პირობების შეთავაზებისას, უზრუნველყოფილი იქნეს დაინტერესებული პირის დეტალური ინფორმირება და პირობების იმგვარად ჩამოყალიბება, რომ ეს უკანასკნელი არ იყოს მომხმარებლის შეცდომაში შემყვანი. ამასთან, განსხვავებული ტარიფის ან პირობების შეთავაზებისას დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში მიეწოდოს მას წერილობითი დასაბუთება.

2. მზღვეველი უფლებამოსილია არ დადოს სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულება დაინტერესებულ პირთან ან დაადგინოს მისთვის უფრო მაღალი ტარიფი, ან განსხვავებული პირობა, მხოლოდ ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ყველა გარემოების კუმულატიურად არსებობისას. აღნიშნულის საპირისპიროდ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლად მხოლოდ განცხადებლის ასაკზე მითითება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს მზღვეველის მხრიდან დისკრიმინაციულ მოპყრობად.

3. დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევაში, დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი უფლებამოსილია სასამართლო წესით მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

4. სადაზღვევო ორგანიზაციებს მიეცეთ რეკომენდაცია, პროფესიული ასოციაციის/გაერთიანების ფარგლებში იმსჯელონ და დამატებით დაადგინონ ისეთი ინოვაციური მიდგომები, რომლებიც მიმართული იქნება სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველების საქმიანობის იმგვარად წარმართვაზე, რომ ამით ხელი არ

შეეშალოს მომხმარებელს/სადაზღვევო პროდუქტის შეძენით დაინტერესებული პირს,
მისი კონსტიტუციური უფლების - მიმოსვლის თავისუფლების რეალიზებაში.

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

დავით ონიფრიშვილი

დავით ონიფრიშვილი

განმარტებითი ბარათი

სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში

მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ

მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის
რეკომენდაციის თაობაზე

1. ზოგადი ინფორმაციის რეკომენდაციის შესახებ

ა) მიღების მიზეზი

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის კანონმდებლობით განსაზღვრულ ფუნქციებსა და მიზნებს შორის ერთ-ერთ უმთავრესს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება წარმოადგენს. ამ მიზნით, სამსახური ახორციელებს დაზღვევის სფეროში მომხმარებელთა განცხადებების მიღებას, მათთან კორესპონდენციას და მზღვეველის მხრიდან საზედამხედველო ნორმების შესრულების მონიტორინგს. მომხმარებელთა განაცხადების საფუძველზე სამსახური გამოკვეთს დაზღვევის სფეროში მზღვეველსა და დაზღვეულს/მომხმარებელს შორის არსებულ აქტუალურ პრობლემებს და კანონდარღვევის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში ახდენს შესაბამის რეაგირებას.

აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, უკანასკნელ პერიოდში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მომხმარებელთა მომართვიანობა. სამსახურმა განიხილა მომხმარებელთა განცხადებები მზღვეველთა მხრიდან ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის თაობაზე. საყურადღებოა, რომ განცხადებებში წამოყენებული პრეტენზია ყველა შემთხვევაში შეეხებოდა მზღვეველთა მხრიდან მომხმარებლის ასაკის ნიშნით მათზე სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის მიყიდვაზე უარის თქმას, ისევე როგორც აღნიშნულ პროდუქტზე სხვა მომხმარებლებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების დაწესებას. განმცხადებლები მიუთითებენ მზღვეველების მხრიდან ხანდაზმულების მიმართ სტერეოტიპულ განწყობებზე, რაც ხანდაზმულ ადამიანებს უზღუდავს საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის შესაძლებლობას. სწორედ ამგვარი პრეტენზიებისა და განცხადებების საფუძველზე გამოვლენილმა პრობლემებმა განაპირობეს სამსახურის მიერ საქართველოს

ტერიტორიაზე სამოგზაურო დაზღვევის სფეროში მოქმედი მზღვეველების მიმართ აღნიშნული რეკომენდაციის გამოცემა.

ბ) მიღების მიზანი

წინამდებარე რეკომენდაციის მიზანია სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში მზღვეველის ან/და დაზღვევის შუამავლის მიერ მომხმარებლის ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების პრევენცია, დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობისას მისი აღმოფხვრის უზრუნველყოფა და ამ გზით ყველა მომხმარებლისთვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული თავისუფალი მიმოსვლის ძირითადი უფლების რეალიზების ხელშეწყობა.

სამსახურისთვის უმნიშვნელოვანეს გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობის შემთხვევაში ხანდაზმული ადამიანების მორალური თვალსაზრისით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაგდების პარალელურად, მათ უკანონოდ ეზღუდებათ მათთვის კონსტიტუცით გარანტირებული ადამიანის ისეთი ძირითადი უფლება, როგორიცაა მიმოსვლის თავისუფლება. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამოგზაურო დაზღვევა აუცილებელი დოკუმენტია საზღვრის გადაკვეთისთვის და მზღვეველის მხრიდან სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში მომხმარებელს არ რჩება ალტერნატიული გზა, მაშასადამე ეზღუდება ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასვლის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 2 სექტემბრის რეკომენდაციაც, რომლითაც სახალხო დამცველმა სამოგზაურო დაზღვევაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ხანდაზმული ადამიანების მიმართ დისკრიმინაციად მიიჩნია.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სამსახურმა დეტალურად შეისწავლა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და დაზღვევის სფეროში ასაკის ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა. სამსახურში შემოსული განცხადებებისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციაში აღწერილი ფაქტების კანონმდებლობასთან/სასამართლო პრაქტიკასთან შეპირისპირების საფუძველზე, სამსახური მიიჩნევს, რომ ქართულ სადაზღვევო ბაზარზე ასაკის ნიშნით დისკრიმინაციასთან მიმართებით მთელი რიგი გამოწვევები არსებობს. სწორედ, სამოგზაურო დაზღვევის სფეროში მზღვეველის მხრიდან ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და პრევენციის ხელშეწყობა წარმოადგენს წინამდებარე რეკომენდაციის გამოცემის უმთავრეს მიზანს.

გ) რეკომენდაციის ძირითადი არსი

რეკომენდაციის შესაბამისად, მზღვეველებისა და დაზღვევის შუამავლებისათვის განისაზღვრება მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის სადაზღვევო მომსახურების თანაბარ ხელმისაწვდომობასა და იმ ბარიერების თავიდან აცილებას, რომლებიც სადაზღვევო პროდუქტის შეძენის მსურველთ უზღუდავენ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებით სარგებლობას და ხელს უშლიან მათ სრულფასოვან ინტეგრაციას საერთაშორისო საზოგადოებაში.

2. რეკომენდაციის სამართლებრივი დასაბუთება

ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლში განმტკიცებული დისკრიმინაციის აკრძალვის აღნიშნული ნორმა უზრუნველყოფს ყველა ადამიანის თანასწორობას მიუხედავად მისი რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნისა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანასწორობის უფლება წარმოადგენს „თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას [...]“ ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.¹

მსგავსად თანასწორობის უფლებისა, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი განამტკიცებს მიმოსვლის თავისუფლებას, როგორც ადამიანის ძირითად უფლებას, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება. მიმოსვლის თავისუფლება განმტკიცებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებით.²

ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე შესვლისას, როგორც უვიზო მიმოსვლის, ასევე სავიზო რეჟიმის პირობებში, ნებისმიერი მოქალაქე გადის სასაზღვრო კონტროლს, რომლის შედეგად მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება შესაბამის ქვეყანაში მისი შესვლის თაობაზე. სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელს უფლება აქვს მოსთხოვოს პირს სამგზავრო დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.³

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493 II, 1

² ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 13; საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო პოლიტიკური უფლებების შესახებ“ მუხლი 12

³ ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: <http://mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, არათანაბარი მოპყრობა ან პირობების შექმნა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად, თუ ის ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება და გამოყენებული საშუალება თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდანაც.⁴

იმისთვის, რომ დადგინდეს არათანაბარი მოპყრობა, მნიშვნელოვანია არსებობდეს შესაძარებელი კატეგორია, რომელთან მიმართებითაც დაინტერესებული პირი არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამოგზაურო დაზღვევის სფეროში ასაკის ნიშნით დისკრიმინაციაზე საუბრისას შესაძარებელი სუბიექტი იქნება უფრო მცირე ასაკის ნებისმიერი მომხმარებელი, რომელიც სარგებლობს ან/და შეუძლია ისარგებლოს სამოგზაურო დაზღვევით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-800 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც საჯაროდ სთავაზობს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას, ვალდებულია დადოს ეს ხელშეკრულება, თუკი უარის თქმისთვის არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი. აღნიშნული გულისხმობს, რომ თუ სადაზღვევო ორგანიზაცია წინადადებას დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად აკეთებს პირთა განუსაზღვრელი წრისადმი,

⁴ ECtHR, Eweida and others v. United Kingdom, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, §§ 87-88; Burden v. United Kingdom, no: 13378/05, 29/04/2008, § 60

რეკლამების და სხვა საშუალებებით, მას არ აქვს უფლება დაუსაბუთებელი უარი უთხრას ხელშეკრულების დადებაზე და ვალდებულია კლიენტთან დადოს დაზღვევის ხელშეკრულება.

მზღვეველი ასეთი ვალდებულებისგან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დამზღვევის ან დაზღვევის ობიექტის მიმართ გააჩნია ისეთი სარწმუნო ინფორმაცია, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევა.⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება“.

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს სამოქალაქო სამართალში აღიარებული ნების ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომლის აღიარებითაც უზრუნველყოფს პირის უფლებას, საკუთარი ინტერესის შესაბამისად მიაღწიოს დასახულ მიზანს. თუმცადა, „ეს თავისუფლება არ შეიძლება იყოს აბსოლუტური. შეუზღუდავმა თავისუფლებამ შეიძლება გამოიწვიოს მხარეთა თვითნებობა. მხარემ, რომელსაც მეტი ეკონომიკური რესურსი აქვს, შეიძლება, აიძულოს მომავალი კონტრაკენტი, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისას პასიური როლი შეასრულოს და მხოლოდ შეთავაზებულ სახელშეკრულებო პირობებს დასთანხმდეს, ამით კი შემთავაზებელი სახელშეკრულებო უპირატესობას მოიპოვებს, რაც არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს მეორე მხარეს, შედეგად კი მივიღებთ სახელშეკრულებო უსამართლობას.“⁶ აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელი ხდება ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა, რომლის მიზანი საჯარო ინტერესებისა და სუსტი მხარის მინიმალური დაცვა და სახელშეკრულებო სამართლიანობის მიღწევაა.⁷

სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება სსკ 319-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ნების არარსებობის შემთხვევაშიც კი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას და ამგვარად კონტრაკენტის იძულებას გულისხმობს და ამგვარ იძულებას ბაზარზე პირის დომინანტურ მდგომარეობასა და მის სამეწარმეო საქმიანობას უკავშირებს.

ამგვარი ნორმის დაწესებით კანონმდებლის მიზანს ერთი მხრივ მომხმარებლის დაცვა და ამ გზით სამართლის სოციალური ფუნქციის შესრულება წარმოადგენს, მეორეს

⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მუხლი 800, გვ. 114

⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მუხლი 319, გვ.61

⁷ იქვე, გვ.62

მხრივ კი ამგვარი შეზღუდვა განპირობებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესით.⁸

საგულისხმოა, რომ თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია არ მიემართება ერთ კონკრეტულ მზღვეველზე, რომელსაც ბაზარზე უკავია მონოპოლიური მდგომარეობა, განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს დაზღვევის სფეროში მოქმედი ყველა სადაზღვევო ორგანიზაცია ერთად ქმნის „დომინანტურ მდგომარეობას“, როდესაც ყველა მათგანის მხრიდან სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე მომხმარებლისათვის უარის თქმის შემთხვევაში, მეორე მხარეს მყოფ დაინტერესებულ პირს არ რჩება არავითარი ალტერნატივა შესაბამისი პროდუქტის მისაღებად. ამგვარი მოცემულობა, ნორმის ანალოგიით პირდაპირ ქმნის განსახილველ შემთხვევაზე სსკ 319-ე მუხლის დისპოზიციის გავრცელების შესაძლებლობას და მზღვეველებისთვის წარმოშობს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებითა და მომსახურებით, დაუსაბუთებლად არ შეიძლება ეთქვათ უარი ხელშეკრულების დადებაზე, თუკი ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.“

მაშასადამე, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს, რომ ზემოხსენებული ნორმით კონტრაჰენტის იძულება მოქმედებს მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ ან სარგებლობენ ქონებით. ამასთან, მეწარმეს არ აქვს უფლება, დაუსაბუთებლად უთხრას უარი მომხმარებელს ხელშეკრულების დადებაზე, არამედ უარი უნდა იყოს გამართლებული და ობიექტურად დასაბუთებული.⁹

სამოგზაურო დაზღვევის სფეროსთან მიმართებით წინამდებარე ნორმის დისპოზიციის გავრცელება დამოკიდებულია ამ სფეროში არსებული ხელშეკრულების შინაარსსა და დანიშნულებაზე. როგორც უკვე აღინიშნა, მიმოსვლის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებაა. თავის მხრივ, სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტი კი, ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასვლის და ამ გზით მიმოსვლის კონსტიტუციური უფლების რეალიზების პირდაპირი (კანონისმიერი) წინაპირობაა.

სამოგზაურო დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარი ერთმნიშვნელოვნად ზღუდავს ადამიანის ძირითადი უფლებას. თუმცა ამ შემთხვევაში საუბარია არა ცალკეული უფლების რეალიზების საკითხზე, არამედ ეს უკანასკნელი სწორედაც რომ საარსებო

⁸ იქვე, გვ.61

⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მუხლი 319, გვ.62

მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტური გარემოებით განპირობებული რეალობაა, რაც ქმნის მზღვეველის ვალდებულებას, მიაწოდოს მომხმარებელს ეს მომსახურება.

დაზღვევის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევებთან მიმართებით, მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომლის თანახმადაც, კანონი მზღვეველებს ანიჭებს უფლებას, სადაზღვევო რისკის შეფასებისას უარი თქვას ხელშეკრულების დადებაზე. ამავე განმარტებით, სადაზღვევო რისკი განისაზღვრება, როგორც მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობას და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა.¹⁰

მიზეზი, რის გამოც სადაზღვევო ორგანიზაციები ხანდაზმულ ადამიანებს უარს ეუბნებიან სადაზღვევო მომსახურების გაწევაზე, ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ისინი სეგმენტაციის ტექნიკას იყენებენ, რაც ავტომატურად დისკრიმინაციას არ ნიშნავს, თუკი მზღვეველს მისი დასაბუთება შეუძლია.

სეგმენტაციის ტექნიკის დროს:

- უნდა არსებობდეს ზუსტი, ახალი და რელევანტური მონაცემები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ასაკი მომეტებულ რისკთანაა დაკავშირებული;
- აპლიკანტის მდგომარეობა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს და შესაძლო უარი არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ასაკს;
- განსხვავებულ მოპყრობას აქვს ლეგიტიმური მიზანი და მისი მიღწევისთვის საჭირო ზომები სათანადო და აუცილებელია.¹¹

ასაკის ნიშნით განსხვავებული მოპყრობა, შესაძლოა, რაციონალურ ფაქტორებსაც ემყარებოდეს და სოციალურ, ეკონომიკურ მიზნებს ემსახურებოდეს. თუმცა, ასევე შესაძლოა, ასეთი მიდგომა განზოგადებულ დასკვნებს და სტერეოტიპებს ეფუძნებოდეს. ასაკთან დაკავშირებული სტერეოტიპების მსხვერპლი შესაძლოა გახდნენ როგორც ახალგაზრდები, ისე ხანდაზმული ადამიანები. ეს ვარაუდები და დასკვნები ხშირად შეცდომაში შემყვანია და ვერ ასახავს ადამიანების ინდივიდუალურ მრავალფეროვნებას. ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია ნეგატიურ

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 4 ნოემბერი, 2016 წელი განჩინება, საქმე ას-760-728-2016 <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

¹¹ Equinet European network of equality bodies, “Fighting Discrimination on the Ground of Age”, p.g. 35-36 ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: http://equineteurope.org/wp-content/uploads/2019/03/Age-Discrimination_updated-electronic.pdf

სოციალურ შედეგებსაც იწვევს, როგორიცაა საზოგადოებაში ხანდაზმული ადამიანების გარიყვა და საბაზისო სერვისებსა და პროდუქტებზე მიუწვდომლობა.¹²

საინტერესოა დაზღვევის სფეროში ასაკის ნიშნით დისკრიმინაციულ კანონმდებლობასა და პოლიტიკაზე გერმანიის ფინანსური ზედამხედველობის ფედერალური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის ფარგლებშიც ბაფინმა არ დაადგინა დისკრიმინაცია და „საყოველთაო თანასწორობის შესახებ“ გერმანიის კანონის მოთხოვნათა დარღვევა. აღნიშნული კანონის შესაბამისად, ასაკის მიხედვით დიფერენციაცია დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ემყარება რისკის ადეკვატური გაანგარიშების აღიარებულ პრინციპებს. გარკვეულ ასაკობრივ ზღვარს ზემოთ მყოფი მომხმარებლებისთვის უფრო მაღალი ტარიფის არსებობა გერმანიის ფინანსური ზედამხედველობის ფედერალურმა ორგანომ არ მიიჩნია ასაკის ნიშნით დისკრიმინაციულ მოპყრობად, რამდენადაც შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ავტომობილების დაზღვევის სფეროში ასაკზე დამოკიდებული ტარიფი ეფუძნებოდა რისკის ადეკვატური გაანგარიშების აღიარებულ პრინციპს.¹³

ევროპული კომისიის განმარტებით, მხოლოდ ასაკი არ უნდა იქნას მიჩნეული ჯანმრთელობის მდგომარეობის საკმარის ზუსტ ინდიკატორად. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ასაკი სტატისტიკურად არის დაკავშირებული ავადობის მაღალ მაჩვენებელთან, ადამიანის ინდივიდუალური გარემოებები შესაძლოა იმდენად განსხვავდებოდეს არსებული ტენდენციისგან, რომ ასაკი ამ ინდივიდზე დასკვნის გასაკეთებლად არასწორი ინდიკატორი აღმოჩნდეს.¹⁴

ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე ასაკის ნიშნით სეგმენტაციისა და ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით ზემოთმოყვანილი მნიშვნელოვანი განმარტებების პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია“, რომელიც 2017 წლის ნოემბერში შესაბამის სამოქმედო გეგმაში აისახა, მიუთითებს დაბერების პრობლემების მაღრიდის საერთაშორისო გეგმაზე. ეს უკანასკნელი თავის მხრივ განსაზღვრავს ვალდებულებებს, რომლის განხორციელებაც სახელმწიფოს დაევალა. აღნიშნული პოლიტიკის გატარების ვალდებულება წარმოიშვა სახელმწიფოს ნებისმიერ სფეროში. ვალდებულება მათ შორის მოიცავს ხანდაზმულთა საზოგადოებაში სრული ინტეგრაციისა და ჩართულობის უზრუნველყოფას და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობას.“¹⁵

¹² European Commission, age discrimination and european law - Employment & social affairs, Fundamental rights and anti-discrimination; 2005, p.g. 12

¹³https://www.bafin.de/SharedDocs/Veroeffentlichungen/DE/Meldung/2020/meldung_2020_07_01_tarifierung_kfz-versicherung.html

¹⁴ European Commission, age discrimination and european law - Employment & social affairs, Fundamental rights and anti-discrimination; 2005, გვ. 35- 37

¹⁵ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://gov.ge/files/469_63003_384301_490.pdf

აღნიშნულთან მიმართებით უმნიშვნელოვანესია საქართველოს სახალხო დამცველის განმარტება, რომლის თანახმადაც, „სადაზღვევო კომპანიის მიერ ზღვრული ასაკის განსაზღვრა, რომლის მიღმა, პირს სამოგზაურო დაზღვევაზე უარი შაბლონურად ეთქმება, გაუმართლებელია.“¹⁶

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შიდა და საერთაშორისო კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით, საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურმა შეიმუშავა ის სარეკომენდაციო ღონისძიებები, რომელთა არსებობაც სამოგზაურო დაზღვევის სფეროში დისკრიმინაციული მოპყრობის პრევენციისა და აღმოფხვრისკენაა მიმართული და სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება.

გარდა სარეკომენდაციო ღონისძიებებისა, აღნიშნულ რეკომენდაციაში მითითებულია დისკრიმინაციული მოპყრობის დადასტურების შემთხვევაში მომხმარებლის მხრიდან სასამართლო წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად კი, არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამასთან, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.“ მაშასადამე, აღნიშნული ნორმების შესაბამისად ცალსახაა, რომ დისკრიმინაციის ყოველ მსხვერპლს, უფლება აქვს სასამართლოს წესით იდავოს და მოითხოვოს ხელშეკრულებაზე დაუსაბუთებელი უარით მიღებული არა მხოლოდ მატერიალური, არამედ მორალური ზიანის ანაზღაურებაც.

3. რეკომენდაციის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

¹⁶<https://www.ombudsman.ge/geo/191127024245skhva-nishani/sakhalkho-damtsvelma-samogzauro-dazghhevaze-khelmisatsvdomobis-shezghudva-khandazmuli-adamianebis-mimart-diskriminatsiad-miichnia>

რეკომენდაციის შინაარსი არ ეწინააღმდეგება (ან პირიქით/ სრულ შესაბამისობაშია) ევროკავშირის სამართალსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

4. რეკომენდაციის ფინანსური დასაბუთება

რეკომენდაციის გამოცემა არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამასთან, იგი გავლენას არ ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. რეკომენდაციის გამოცემა არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

რეკომენდაცია არ აუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

რეკომენდაციის ავტორი და ინიციატორი:

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის
სამსახურის იურიდიული დეპარტამენტი